ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4067797

ნომერი: AR1613377

თარიღი : 03.07.2018

გაცემის თარიღი : 13.07.2018

გაცნობის თარიღი : 13.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის I შესახვევი, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი აბაშიძე პ/ნ 01031003397
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 20 ბ. 104

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 მაისის №3258274 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 03

ივლისს №AR1613377 განცხადებით მომართა ირაკლი აბაშიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 16 მაისის №3258274 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 მაისის №3258274 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, პეტრე ქავთარაძის ქუჩა #26-ში, შპს ,,კასა დეველოპმენტ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.03.040.354), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო 2017 წლის 13 ივნისის №3317675 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 13 ივნისიდან 2020 წლის 13 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 16 მაისის №3258274 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე, ტექნიკური შეცდომის გამო, არ არის დაფიქსირებული აივნების ფართობები, თუმცა აღნიშნული ფართობები შეყვანილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. აქედან გამომდინარე, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია ტექნიკური ხარვეზის გასწორება და 2017 წლის 16 მაისის №3258274 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმების ჩანაცვლება 2018 წლის 03 ივლისის №AR1613377 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 მაისის №3258274 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 03 ივლისის №AR1613377 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით. სამსახურის 2017 წლის 16 მაისის №3258274 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 მაისის №3258274 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.